სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/16

ქ. თბილისი 29 მარტი 2021

სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის“ საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის 18 მარტის №0000250492 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 მარტის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის საშტატო განრიგში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების, მათი გამოყენების და ტურიზმის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით - 300 ლარი გადატანილ იქნეს მიწის, წყლის და ტყის რესურსების და ეკოლოგიის განყოფილებაში (დანართი №1);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**